ცნობის ფურცელი

№ 2193 — პარასკევი, 27 ივნისი — 1896—1903 — ყოველ-დღიური გამოცემა — № 2193

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვინზის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

3 მან. და 50 კ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივლისიდან წლის დამლევამდე

ბალი ბავშვებისათვის

ბავშვთა მზრუნველ და მასწავლებელ ქალთა საზოგადოებისა (მიხეილის პროსპ., იუნკრის სასწავლებლის პირდაპირ).

კვირას, 29 ივნისს, გაიმართება

სეირნობა

$4^1/_2$-დან 10 საათამდე.

1. **საკონცერტო განყოფილება.** მონაწილეობას მიიღებენ: ორკესტრი—ა. თ. ვინჩენკას მეთაურობით, ხორო—ი. ს. ოლხოვსკის ლოტბარობით და ლექსის წამკითხველნი ბ-ნნი ყიფიანი და ზაგორსკი.

2. **გასართობები და სათამაშოები:** ბუნდოვანი სურათები, ცეკვა, სროლა თოფებისა და ისრებისა, კეგლი და სხვა სათამაშოები, მასწავლებელთა ხელმძღვანელობით.

3. სეირნობა მუსიკითა და ბენგალის ცეცხლით.

არის ბუფეტი.

შესვლის ფასი: ბავშვებისათვის—20 კაპ., დიდებისათვის—30 კაპ. (2—უ.—1)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსიაა პირველ განყოფილებაში, სადაც მიიღებიან შვიდისა და რვა წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებებსა და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება ოცდახუთ მარიამობისთვემდე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას წლოვანების, თავად-აზნაურობისა და ყვავილის აცრის მოწმობანი. ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 აგვისტოსთვის. ხელმეორედ გამოცდა, რომელიც მაისში დაენიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 აგვისტოს.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

(3—ო—1)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ტფილისის

ექიმთა სამკურნალო

მკურნალის ვ. ს. მუსხელიშვილისა.

(გუდვანიშვილისეული)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

გ. მ. ბოჭორიძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. ფულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ბ. პ. ბაბალუნიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. ზედგინიანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მაჩხაიტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზრ. მ. ხოზრელიძე—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ბ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (შარდის-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კონსილიუმები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სანგინაშვილისა, №-21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

კ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 612

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. ბოლგარიის პირველ მინისტრს გენერალ რაჩო პეტროვს ულაპარაკნია გაზეთ „ტაიმს"-ის სოფიელ კორესპონდენტთან და ბევრი საინტერესო ცნობა შეუტყობინებია. „ოსმალეთის ჯარების უკანასკნელ მოძრაობას ბოლგარიის საზღვრების ახლო მეტად საშიში ხასიათი აქვს. ეხლა ბოლგარიის საზღვრებზე ჩვენ პირდაპირ დგას ოცდა-ათი ბატალიონი ოსმალეთის ჯარისა, ჩვენ კი სულ რვა ბატალიონი გვყავს. მოულოდნელი თავდასხმა და რომელიმე ბოლგარულ ქალაქის, თუნდ კიუსტენდილის, აღება ძალიან ადვილად შესაძლებელია. ამიტომაც ბოლგარიის მთავრობამ გადასწყვიტა მოუმატოს საზღვრის ჯარებს და აიყვანოს ოცდა-ათ ბატალიონამდე. შესაფერ ცირკულიარულ ნოტას, რასაკვირველია, სახელმწიფოებს გავუგზავნით. ბოლგარიას გულწრფელად სურს თავიდან აიცილოს ჯარების მობილიზაცია, განსაკუთრებით ეხლა, როცა მკის დროა და გლეხი კი იძულებული იქნება ჯარში იმსახუროს. მაგრამ რა ვქნათ: ჩვენ მზად უნდა ვიყვნეთ ყოველ შემთხვევისათვის, მით უმეტეს, რომ განუწყვეტელი შეტაკება საზღვრებზე კიდევ უფრო აძლიერებს საშიშ მდგომარეობას".

შემდეგ გენერალ პეტროვს ულაპარაკნია ოსმალეთის ჯარის ღირსებაზე:

„ოსმალეთის ჯარების მობილიზაციას სულ უკანასკნელი ორი თვე მოუნდება, მაგრამ ამ ორის თვის შემდეგაც არ ექმნება ჯარს საშუალება სწრაფ მოძრაობისათვის და არც ფურგუნები სურსათის გადაზიდვისათვის. ბოლგარიას სულ მოკლე ხანში შეუძლია ფეხზე დააყენოს 250 ათასი კაცი; მეტი წილი ჯარის კაცებისა შეიარაღებულია მანლიხერის სისტემის თოფით. შეიძლება სამხედრო სურსათი შემოგვაკლდეს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენა გვაქვს 500 პატრონა ყოველ ჯარის კაცზე და 300 ყუმბარა თითო ზარბაზანზე. რაც უნდა იყოს, თუ ომი მოხდა, ოსმალეთი უფრო მეტს წააგებს და ნაკლებს მოიგებს, ვიდრე ბოლგარია. რუმინია და სერბია ომში არ ჩაერევიან და კიდეც რომ ჩაერიონ, ჩვენთვის ეს სულ ერთია".

რატომ უნდა იყოს სულ ერთი ეს უკანასკნელი გარემოება, ბოლგარიის მინისტრს არ აუხსნია.

„ნოვოე ვრემია" ამბობს პეტროვის ამ ნალაპარაკევის გამო:

„გენერალ პეტროვის სიტყვებიდან ცხადათ სჩანს, რომ სოფიაში მეტად სერიოზულად სთვლიან საქმეთა მიმდინარეობას და ისე ემზადებიან ომისათვის, თითქოს მისი თავიდან აცილება შეუძლებელი იყოს. მართლაც მდგომარეობა მეტად სერიოზულია. სოფიიდან მოსულ უკანასკნელ დეპეშების მიხედვით, ეს მდგომარეობა თითქმის უიმედო უნდა იყოს, და კონსტანტინეპოლიდან მოსული დეპეშა სურათს ამთავრებს. მაგრამ იმედს ნუ დავკარგავთ, რომ საქმე მშვიდობიანად არ გათავდეს. იქნება დიპლომატებმა უნარი გამოიჩინონ და თავიდან აგვაცილონ ომის საშინელება, რომელიც არავის არ სურს და რომლის ერთ ადგილით განსაზღვრა ძალიან ძნელი იქნება". კარგი, მაგრამ აქამდე სად იყო დიპლომატების ეს უნარი, რომელმაც ევროპა ომის საშინელებას უნდა გადაარჩინოს!

გერმანია. იტალიურ სოციალისტურ გაზეთ „ავანტი"-ს დაბეჭდა თავის ბერლინელ კორესპონდენტის საუბარი ცნობილ ედუარდ ბერნშტაინთან.

ბერნშტაინს, სხვათა შორის, უთქვამს: გასულ წელს დიდი გამწვავება იყო რეიხსტაგის რეგლამენტის შეცვლის გამო, ამიტომ სოციალ-დემოკრატიამ უთუოდ უნდა ისარგებლოს თავის უფლებით და მოითხოვოს, რომ ერთ-ერთი მისი დეპუტატი რეიხსტაგის ვიცე-პრეზიდენტი იყოს. ეს თავის დაცვის აუცილებელი ღონისძიებაა, რომელიც სოციალ-დემოკრატიამ უთუოდ უნდა მოითხოვოს მტკიცედ. თუ დეპუტატების უმრავლესობა წინააღმდეგი იქნება სოციალ-დემოკრატის ვიცე-პრეზიდენტად არჩევისა, პარტია შესძლებს მონახოს ღონისძიებანი თავის უფლების დასაცველად.

ბერნშტაინის აზრით, ერთ-ერთ სოციალ-დემოკრატმა უნდა მიიღოს ვიცე-პრეზიდენტობა, თუნდა იმპერატორის სასახლეში სადარბაზოდ მისვლა დასჭირდეს. გერმანიის საიმპერიო კონსტიტუცია მეტად დემოკრატიულ ხასიათისაა. ვილჰელმ მეორე „ნებითა ღვთისათა" მხოლოდ პრუსიის მეფეა. რაც შეეხება გერმანიის იმპერიას, ვილჰელმი მხოლოდ თავმჯდომარეა გერმანიის სამთავროების კავშირისა და სხვა არაფერი.

ბერნშტაინს სჯერა, რომ ბიულოვი ჰფიქრობდეს საყოველთაო საარჩევნო უფლების შეცვლას, მაგრამ იმას კი ჰფიქრობს, რომ მიიღებს თუ არა რეიხსტაგი ახალ სავაჭრო ხელშეკრულებათ, ახალი არჩევნები იქნება დანიშნული.

რუზველტი. „რეიტერის სააგენტოს" დეპეშით ატყობინებენ ვაშინგტონიდან: „წინააღმდეგ სტატს-სეკრეტარ გეის და სახელმწიფო

ფელეტონი

„ქართველი ხალხი"

აწერილი არტურ ლეისტისა (das georgische volk geschildert von Artur Leist, Dresden 1903).

სერბიის ახალ მეფეს უთქვამს უცხოელ გაზეთების ცენზურის გამო: სერბიას კრიტიკის არ უნდა ეშინოდეს, პირიქით, ინტერესით და ცნობის-მოყვარეობით უნდა ეკიდებოდეს იმას, თუ რას ამბობენ და რას ჰფიქრობენ მაზედ უცხოელებიო.

ჩვენც ძალიან გვეინტერესება, თუ რას ჰფიქრობენ და ამბობენ ჩვენზე უცხოელები და ჩვენი ნება რომ იყოს, ალბად, უცხოელ გაზეთებს ცენზურაში არ გავატარებდით: კრიტიკის მხოლოდ იმას ეშინიან, ვინც არავითარ ძალას არა ჰგრძნობს და არავითარი იმედი არა აქვს თავის თავისა.

მაგრამ კრიტიკაც არის და კრიტიკაც: ეს დალოცვილი ევროპიელები ერთს მიივლ-მოივლიან მათთვის სრულებით უცნობ ქვეყანაში და მთელი წიგნი მზად არის, წიგნი შეთხზულ შინაარსისა და ამ წიგნის საშუალებით უნდა გაგვიცნოს ევროპამ!

მით უფრო დასაფასებელი და საქებია არტურ ლეისტის ახალი წიგნი ქართველ ხალხზე, მას არაფერი საერთო არა აქვს ხსენებულ „შეთხზულ" შინაარსის წიგნებთან; იგი ნაყოფია საგნის სინიდისიერად შესწავლისა და თან დიდის ხელოვნებით დაწერილი.

„ქართველებიო, ამბობს ავტორი წინასიტყვაობაში, ერთი უძველესი კულტუროსანი ხალხია წინა-აზიის სხვა ხალხებ შორისო, მაგრამ რადგან აღმოსავლეთის ისტორიაში მხოლოდ მოკლე ხანი თამაშობდნენ ხელმძღვანელ როლს, ამიტომ მათ ქვეყანას და არსებობას გადაეფარა დავიწყების ზეწარი, რომლის გაბერტყვას მხოლოდ სულ ცოტა მკვლევარნი სცდილან. ამ საფარველ ქვეშ კი ძევს ადამიანის ისტორიის მდიდარ-შინაარსიანი წიგნი, და ვინც მას წაიკითხავს, გაოცებული დარჩება წიგნის მრავალ-ფეროვან სურათებით. იქ ჰნახავთ არა მარტო ძველ სპარსეთისა და ბიზანტიის კულტურის აჩრდილს, არამედ პოეზიით გაბრწყინებულ თავისებურობასაც, რომელმაც მეთორმეტე საუკუნეში დიდ-მშვენიერ (prächtig) აყვავებამდე მიაღწია.

წინამდებარე წიგნი არის პირველი ცდა ქართველთა კულტურულ ცხოვრების აღწერისა დასაწყისიდან და უახლოესს დრომდე და რადგან ამასთან წიგნი ეხება პოლიტიკურ ისტორიასაც და ხალხის ხასიათსა და ზნე-ჩვეულებასაც, შემიძლიან ვსთქვა, რომ იგი შეიცავს ქართველ ხალხის ცხოვრების ისტორიას."

მართლაც არტურ ლეისტის წიგნი არის მოკლედ, მაგრამ მიუდგომლად შედგენილი ისტორია ქართველ ხალხის ცხოვრებისა; აკლია მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ისტორია და ეს ნაკლი, ჩვენის შეხედულებით, წიგნს ბევრ ინტერესს უკარგავს.

მართალია, ფრიად საინტერესოა ყველა ის საგანი, რომელსაც ავტორი ეხება—ეტნოგრაფიაა იგი, ისტორია, თუ თანამედროვე ლიტერატურა, მაგრამ ევროპიელ მკითხველისათვის მაინც გამოურკვეველი რჩება, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე ქართული საზოგადოება, რა ელემენტებიდან შესდგება იგი, რას ჰფიქრობს, რას ელტვის, რა სურვილები ან განზრახვები აქვს. მეცხრამეტე საუკუნის ქართველთა ცხოვრების ეს მხარე ნაკლებ საინტერესო არ იქმნებოდა ევროპიელ მკითხველისათვის და ბ. არტურ ლეისტი კი გაკვრით და ერთობ ბნელად ეხება ამ საგანს წიგნის იმ განყოფილებაში, რომელსაც „ქართული ლიტერატურა მე-19-ე საუკუნეში" ჰქვიან.

ავტორს თამამად და თავისუფლად შეეძლო შეხებოდა ამ საგანს ქ. დრეზდენში გამოცემულ გერმანულ წიგნში...

გადავიდეთ თვით წიგნის შინაარსზე. რომელი უცხოელი ავტორია, რომ პირველ ყოვლისა ჩვენის ქვეყნის ბუნების სიმშვენიერეს და სიდიადეს განცვიფრებაში არ მოეყვანოს. არტურ ლეისტიც აღტაცებული და გატაცებული ლაპარაკობს საქართველოს ბუნების არა ჩვეულებრივ სიმშვენიერეზე და სიმდიდრეზე. რასაც აგვიწერს, სულ თავის საკუთარ თვალით აქვს ნახული და ქართველს გიკვირს, თუ უცხოელი როგორ გაეცნო ასე ჩვენ ქვეყანას! ქართველი ხომ ადგილიდან არ დაიძვრის თუ მოახერხა ერთ ადგილას მოკალათება. ეხლა მაინც შეგვრცხვეს გერმანელ მწერლისა და პატარა მეტის ინტერესით მოვეკიდოთ ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებს, შევიგნოთ, რომ საქართველოს არ შეადგენს მარტო ტფილისი ან ქუთაისი.

ბუნების შემდეგ ავტორი ლაპარაკობს

დეპარტამენტის რჩევისა, ამერიკის პრეზიდენტმა რუზველტმა გადასწყვიტა წარუდგინოს რუსეთის მთავრობას ის პეტიცია, რომელიც მან მიიღო თავის დროზე, როგორც შედეგი რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობისა (კიშინოვის ამბების გამო). როცა რუსეთის მთავრობამ ეს ამბავი გაიგო, დიპლომატიურის გზით მწუხარება გამოსთქვა რუზველტის ასეთ გადაწყვეტილების გამო რუსეთის მთავრობა ჰფიქრობს, რომ შეერთებულ შტატების რესპუბლიკა დაკმაყოფილდება სიმპატიის იმ გამოცხადებით (დევნილ ებრაელების მიმართ), რომელსაც უკვე ჰქონდა ადგილი, და ამასთანავე აცხადებს, რომ რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო უკანვე დააბრუნებს პეტიციას განუხილველად, რადგან იგი ისეთი აქტია, რომელიც ეწინააღმდეგება მეორე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევის პრინციპს. რადგან პრეზიდენტი მტკიცედ ადგას თავის გადაწყვეტილებას, ამიტომ ადვილად შესაძლებელია, რომ რუსეთის ელჩი ვაშინგტონში გრაფი კასინი გამოწვეულ იქმნას. კასინი დღე დღეზე მოელის ასეთ განკარგულებას".

ამტკიცებენ, რომ რუსული გაზეთი „ნოვოე ვრემია“ ძალიან მოწადინებულია დაუმტკიცოს ამერიკას და ქვეყანას, რომ ამერიკა ბევრად ნაკლებ ჰუმანიური ქვეყანაა, ვიდრე რუსეთი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ ტფილისში არსდება **ახალი ქართული საზოგადოება**, რომელსაც აზრად ექმნება შეკრიბოს და გამოსცეს სახალხო სიმღერები, გამოსცეს სამეცნიერო გამოკვლევანი ჩვენის სიმღერა-გალობების შესახებ, ხელი შეუწყოს სამუსიკო ცოდნის გავრცელებას საღამოების, კონცერტების და სხვ. გამართვით. საზოგადოება დაეხმარება აგრეთვე ყველა იმათ, რომელნიც მოისურვებენ სწავლას რუსეთისა თუ საზღვარ-გარეთის, სამუსიკო სასწავლებლებში. საზოგადოებას წესდების ძალით, ნება ექმნება გამართოს საკუთარი მუზეუმი სამუსიკო იარაღისა, იქონიოს ბიბლიოთეკა-სამკითხველო და სხვ. საზოგადოება შეადგენს აგრეთვე მომღერალთა გუნდს. საწევრო გადასახადი 5 მანეთია. საზოგადოების დამფუძნებელ წევრებად ჩაეწერა 60 კაცი. წესდების პროექტი უკვე წარედგინა დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორს.

◆ **საერობო დარაჯი შავის ზღვის მხარის გუბერნიაშიც** შემოიღეს. შუამდგომლობა ამის შესახებ აღძრა ადგილობრივმა გუბერნატორმა გენერალმა ვოლკოვმა. შეიწყნარა ეს შუამდგომლობა კავკასიის მთავარმართებელმა. დარაჯში 140 კაცი იქნება; აქედან 2 უფროსი ურიადნიკია, 7—უმცროსი, 23—უფროსი დარაჯი და 108—უმცროსი.

◆ **სანატორიები რკინის გზის მოსამსახურეთათვის** ცემსა და ბაკურიანში უკვე დაამთავრეს. 20 ივნისიდან ამ სანატორიებში შეუდგნენ ავადმყოფთა მიღებას.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის თხოვნის თანახმად ოდესის ქალაქის გამგეობამ გამოუგზავნა ცნობები **სასანიტარო სამზრუნველო ბიუროს** შესახებ. ოდესაში 1897 წლიდან არსებობს 12 სასანიტარო სამზრუნველო ბიურო. ყველა ბიუროებს ამ ჟამად 420 წევრი ჰყავს, რომელთაც დავალებული აქვთ თვალ-ყური ადევნონ ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას. ბიუროები ხელმძღვანელობენ საბჭოს მიერ გამოცემულ ინსტრუქციით.

◆ გუშინ, 26 ივნისს, ტფილისში საგრძნობლად **იძრა მიწა.** მიწის ძვრა მოხდა 4 საათსა და 20 წუთზე.

◆ 25 ივნისს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში **მოხდა საჯარო გაჭრობა** ბანკში დაგირავებულ სოფლის მამულებისა. გასასყიდად დანიშნული იყო 13 მამული, გაიყიდა 6 მამული. 7 მამულის ხელ ახალი ვაჭრობა დაინიშნა 12 ივლისისათვის. გაყიდულ მამულებზე ბანკისა ითვლებოდა 20,765 მან. 48 კაპ., გაიყიდა 23.941 მანეთად. გაყიდულ მამულებიდან 3 მამული ქართველისაა, 2 სომხისა და 1 ოსმალელისა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა 1902 წლის ანგარიში **ლომბარდისა** და სარევიზიო კომისიის შენიშვნები. გამგეობამ დაადგინა, დაამტკიცოს ლომბარდის ანგარიში; ლომბარდის წმინდა მოგება 13,524 მანეთი და 93 კაპ. განაწილებული იქმნება ამრიგად: 786 მან. 72 კაპ. ხაზინას გადაეცემა სამრეწველო გადასახადის გასასტუმრებლად, 4300 მან. გადაიდება ლომბარდის ძირის თანხის გასაძლიერებლად, 5609 მან. 52 კაპ. გადაიდება სწავლა განათლების საქმისთვის, ხოლო 2804 მან. 76 კაპ. მოხმარდება ქველ მოქმედებას.

◆ პირველ ივლისიდან კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში **დაიწყება კრებები ზანგეზურის სამაზრო ოლქის მრეწველთა.**

◆ **წინამძღვრიანთ-კარის სკოლა** წელს 12 მოსწავლემ დაამთავრა. ოთხი იალტის სამეურნეო სასწავლებელში აპირობს შესვლას, ოთხიც იქვე მიდის თავისუფალ ყურის მგდებლად.

◆ ამას წინად ვწერდით, რომ ქუთაისის გუბერნიის სოფელ **ხოტევისა და ნაოდაძეების** მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს ამ სოფელში საფოსტო განყოფილებების დაარსების შესახებ. საფოსტო უწყებამ ნება დართო, რომ აღნიშნულ სოფლებში საფოსტო განყოფილებანი მოეწყოს.

◆ ამას წინად ვწერდით, რომ **გოშში გნ. ამირაჯიბისა** გამართავს საქველ-მოქმედო წარმოდგენასაო. როგორც ეხლა გვატყობინებენ, წარმოდგენის გამართვა, სხვადასხვა მიზეზებისა გამო, გადაუდვიათ.

◆ „კავკ.“-ს პეტერბურგიდან **დეპეშით ატყობინებენ:** გადაიყვანეს: ბრესტ-ლიტოვის სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი ნაზაროვი—ტფილისის სამხედრო საავადმყოფოს უფროს ექიმად, ხოლო ამ საავადმყოფოს უფროსი ექიმი რუბეცი—კავკავის სამხედრო საავადმყოფოს უფროს ექიმად.

◆ ტფილისში აღმოაჩინეს შემდეგი ბოროტმოქმედება. 1902 წელს, 6 დეკემბერს, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ტფილისში სადღაც დაიკარგა ეგიაზაროვის ქვრივის შვილი, 13 წლის ვართან ეგიაზაროვი, რომელსაც სწავლა დაუსრულებია სოლოლაკის სამ-კლასიან სასწავლებელში. შესდგომიან ძებნას, მაგრამ ვერც მშობლებმა და ვერც პოლიციამ კვალს ვერ მიაგნო. ეჭვი მიიტანეს სიღნაღის მცხოვრებს არტემ ავეტისოვზე, მაგრამ ხელ ჩასაჭიდებელი საბუთი ვერა აღმოაჩინეს რა და ამიტომ გამოძიება შეაჩერეს. ცოტა ხნის შემდეგ სომეხთა ერთ ეკლესიის მღვდელმა ეკლესიაში შეატყობინა ბავშვის პატრონებს და პოლიციას, რომ ვიღაც ბავშვის გვამი, რომლის ნიშნებიც ეგიაზაროვისას ჰგავდა, მიხეილის საავადმყოფოდან წაიღეს და სომეხთა ეკლესიის სასაფლაოზე დაასაფლავესო.

აი, სწორედ ეს ბავშვი ეხლა ცოცხალი აღმოჩნდა, ბაქოში, ბალახანს, საწარმოების ერთ დუქანში. საქმე ასე მომხდარა: 1902 წელს, დეკემბერს, ავეტისოვს ავლაბრის ერთს დუქანში შეუტყუებია ვართან ეგიაზაროვი და გაუტაცნია. შემდეგ დაუმუქრებია, თუ იქ არ წახვალ, სადაც გაგზავნი, ცოცხალს არ გადაგარჩენო. წაუყვანია სადგურზე, ერთი ვიღაც კონდუქტორი მოუსყიდნია და ბავშვი ბაქოსაკენ გაუტანებია. ბავშვს სიკვდილისა შეეშინებია და გაჰყოლია კონდუქტორს. როცა ბავშვი ბაქოში გაუშვიათ უპატრონოდ, იგი აუწერელს მდგომარეობაში ჩავარდნილა. ბავშვს არსად შეეძლო თავი შეეფარებინა, არც საჭმლის ფული ჰქონია. ამისთვის გაუყიდნია რაც ტანისამოსი ჰქონია და რამდენსამე დღეს აღებულ ფულით შეუნახავს თავი. შემდეგ ბალახანში მედუქნე ბეჟიტაშვილთან მოსამსახურედ დამდგარა. ორის თვის შემდეგ ვართანს იმდენი ფული შეუგროვებია, რომ შეეძლო ტფილისში წამოსვლა, მაგრამ ვერ გაუბედნია, რადგან ეშინოდა ავეტისოვისა. ეგიაზაროვს თერგის ოლქის ქალაქ გიორგიევსკში მდგომ რაზმში ჰყოლია ჯარის კაცად ბიძა, ვინმე მირზოევი და იმისთვის ბარათით უცნობებია თავისი თავ-გადასავალი. მირზოევს ეს ამბავი შეუტყობინებია ტფილისის თვითმმართველობის იურისკონსულტის თანაშემწის ქანანოვისათვის, რომელსაც თავის ხარჯით გამოუზრდია ბავშვი სოლოლაკის სკოლაში. ქანანოვს კიდევ უმალვე უცნობებია პოლიცმეისტერისთვის, რომელსაც განკარგულება მოუხდენია ეგიაზაროვის ტფილისში მოსაყვანად. ვართან ეგიაზაროვმა მთელი თავგადასავალი უამბო პოლიციას, რომელიც შეუდგა ამ ბოროტ-მოქმედების ჩამდენის გამოძებნას პასუხის გებაში მისაცემად.

◆ ხვალ, 28 ივნისს, ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში მოხდება საჯარო-ვაჭრობა საზოგადოებაში დაგირავებულ მამულებისა, რომელთა გაყიდვა 21 ივნისის ვაჭრობაზე ვერ მოასწრეს.

ᲜᲝᲥᲐᲠ ᲥᲐᲠᲒᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

(წერილი ქუთაისიდან)

რამდენი არა სწერეს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, რამდენი არ იმეორებდნენ ზოგიერთა ხმოსნებმა საბჭოს სხდომებზე იმის შესახებ, რომ საჭიროა, ნოქრებმა კვირა-უქმეებით შეისვენონ, რამდენი არ ამტკიცებს ამის სარგებლობა როგორც ნოქრებისა, ისე იმათის უფროსებისათვისაც,—მაგრამ ნოქრების მდგომარეობას მაინც არაფერი ეშველა, ე. ი. საქმე დღეში ნოქრები ისევ განუწყვეტლივ მუშაობენ დილის 6-დან (ზაფხულობით) საღამოს 11—12 საათამდე, კვირაობით კი დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ეს უკანასკნელი მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი, საქმით კი ვაჭრობა თითქმის მთელის დღით სწარმოებს. რა გაეწყობა, ნოქრები იძულებულნი არიან დროებით მაინც შეურიგდნენ ამ წესს, სანამ თვითონ მთავრობა არ დაინახავს კვირა-უქმე დღეობით ნოქრების შესვენების საჭიროებას და სავალდებულო დადგენილებას არ გამოსცემს. მე მსურს მკითხველის ყურადღება მივაქციო ნოქრებისა და ქარგლების მდგომარეობის მეორე მხარეს, რომელიც სრულიად უყურადღებოდაა დატოვებული. ამ საკითხს ამას წინად გაკვრით შეეხო ხმოსანი დ. ა. ნაზაროვი, მაგრამ მაშინ ამისათვის არავის სცალოდა და საქმეც მიაფუჩეჩეს. მე მოგახსენებთ ნოქრებისა და ქარგლების ბინებისა და სამუშაო დროს შესახებ.

ათში ერთი თუ გამოერევა „ბედნიერი“ ნოქარი ანუ ქარგალი, რომ ისეთი ბინა ჰქონდეს, სადაც შეეძლოს კაცს ცხოვრება. დანარჩენი ცხრა ისეთს ბინაზე სცხოვრობს, სადაც კაცი პირუტყვსაც არ გაიმეტებს დასამწყვდევად, არამც-თუ თავისავით მეტყველს ადამიანს. ამის დამამტკიცებლად ერთს ჩემგან ნახულს მაგალითს მოვიყვან. ამ რამდენისამე წლის წინად ვიდექ ბინად ერთს შეძლებულ ხელოსანთან, რომელსაც 6—7 ქარგალი მუდამა ჰყავდა. ეს 7 კაცი ღამე იძინებდა სახლის უკან მოდგმულს პატარა საქათმის მსგავს ქოხში, რომელსაც არც ჭერი ჰქონდა, არც იატაკი, არც ბუხარი და არც ფანჯარა,—თუ ფანჯარად არ ჩავთვლით ერთ ოთხ-კუთხიანს ქაღალდით გაკრულ ჭუჭრუტანას; კარების მაგივრად თევზის სახვევი ქილოფი იყო ჩამოფარებული; კედლების როლს კი ლურსმებით ერთმანეთზე მიკოწიწებული სახურავიდან ახდილი ძველი ყავარი ასრულებდა. როდესაც წვიმა მოვიდოდა, ეს „დარბაზი“ წყლით აივსებოდა ხოლმე, რადგან პირდაპირ მიწაზე იდგა და არც ზევიდან უშლიდა რამე ხელს წვიმის ჩამოსვლას და არც ქვეიდან.

ასეთს ბინაზე ატარებდა ღამეს 7 კაცი, ღამის 12 საათიდან დილის 4—5 საათამდე. იმათთვის არ იყო არც ცეცხლი, არც სანთელი; ოთახი კვირაში მხოლოდ ერთხელ იგვებოდა კვირაობით, როდესაც ისინი უფრო გვიან მიდიოდნენ სახელოსნოში. ერთ ქარგალს წიგნის კითხვა ძლიერ უყვარდა და ჩემგან მიჰქონდა წიგნები; მაგრამ როდის უნდა ეკითხნა, როდესაც დღისით კაცი არ მოაცლიდა ამისათვის და ღამე კი სანთელი არა ჰქონდა. თავისი ფულით შეიძინა ერთი ჭრაქი, რომელსაც მჭვარტლი და ბოლი მეტი ასდიოდა, ვიდრე სინათლე. აი, ამ ჭრაქის სინათლეზე ჰკითხულობდა ქარგალი წი-

---

თვით მცხოვრებლებზე. მოვიყვანთ, რასაკვირველია, მხოლოდ იმ ადგილებს, რომელნიც ჩვენის მკითხველისათვის საინტერესოდ მიგვაჩნია.

ქართული ენა ნაკლებ კეთილხმოვანია ავტორის აზრით, რადგან რამდენიმე ხორხის მიერი ხმები აქვს და ზმნებში, ხშირად, ბევრი უხმო ასო იყრის თავს ერთად. სამაგიეროდ სიტყვის სხვა ნაწილები, მაგალითად სახელი არსებითი და ზედ შესრული სახელი, კეთილხმოვანნი არიან და ხშირად იტალიურს მოგვაგონებენ. სამხრეთის ბუნებამ, უეჭველად იქონია გავლენა ქართულ ენაზე და უფრო რბილი გახადა იგი, მაგრამ ეს გავლენა არ ყოფილა იმდენად ძლიერი, რომ ყველა არასაამო ხმები მოესპო. სამაგიეროდ ქართული სიტყვა და აზრის გამოთქმაც (წინადადებაც) წარმოადგენს სურათიანობის არა ჩვეულებრივ სიმდიდრეს. ორის მხრივ მიაღწია ქართულ ენამ იშვიათ სისრულეს (Vollkomenheit)—პოეზიაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „პოეტურ სიტყვათა საუნჯე მეტად მდიდარია, თავისებური და მთქმელი (ausdrucksvole), და აღსავსეა როგორც ნაზის, ისე ძლიერის კილოთი. მდიდარ-შინაარსიანი და მრავალფეროვანია აგრეთვე საზოგადოებრივ ცხოვრების ენაც“. ამ მხრივ ქართული ენა არ ჩამორჩება არც ერთ ევროპიულ სალონის ენას.

ავტორი აღნიშნავს კიდევ ერთ თვისებას ქართულ ენისას: ნაკლებად უყვარს კილოკავები, დიალექტიო, რაც მით უფრო გასაკვირველი არისო, რომ სხვა-და სხვა კუთხის მცხოვრებნი ტემპერამენტითა და ხასიათით ერთმანეთისაგან შესამჩნევად განირჩევიანო. აქ ავტორს მოჰყავს ჩვეულებრივი დახასიათება ამერისა და იმერისა.

აქ ერთი შენიშვნა უნდა მივცეთ ავტორს: როცა იგი ამერს ახასიათებს, მაღალ წოდებაზე ლაპარაკობს და იმერის დახასიათების დროს-კი საზოგადოთ იმერელზე. გარდა ამისა, ცოტა არ იყოს, ავტორი აჭარბებს იმერის დახასიათების დროს; მაგალითად, სრულებით მეტია შემდეგი წინადადება: Eigeunutz, Ränckesucht, Rachgier und Verrat traten in ihrer geschichtlichen Verqanqenheit als alltägliche Laster auf.

არა გვგონია, რომ ავტორის აზრით ყველა ეს იმერლის განსაკუთრებული თვისება იყოს, უფრო სიტყვის მასალისათვის უნდა იყოს ნათქვამი და ეს-კი წიგნს ღირსებას არ უმატებს.

ყველაზედ უფრო აღტაცებულია ავტორი გურულებით. დასავლეთ საქართველოში „ყველაზე გამოსადეგი, საიმედო და სიმპატიური, უეჭველად, გურულები არიან; რაც შეეხება კულტურულ მისწრაფებათ, ესენი ყველა ქართველებზე წინ არიან“.

მეოთხე საუკუნიდან ქართველები ქრისტიანები არიან, საუკუნოების განმავლობაში არა დაუზოგავთ-რა ქრისტიანობის დასაცველად და ბევრი საშინელი განსაცდელი ნახეს იმის გამო, მაგრამ ფანატისმი ყოველთვის უცნობი მოვლენა ყოფილა და არის ქართველებისათვის, მუდამ ჰუმანურ პატივისცემით და გულკეთილობით ეპყრობოდნენ სხვა გვარად მორწმუნეთ; საქართველოში არასოდეს არ ყოფილა დევნა არც სომხებისა, არც მაჰმადიანებისა და კათოლიკე მისიონერები მფარველობითა და თავისუფლებით სარგებლობდნენ. „მართალია, ქართულ ლიტერატურაშიაც ბევრია რელიგიური საპოლემიკო ნაწერები, მაგრამ აზრთა ეს ბრძოლა არასოდეს არ გადასცილებია საეკკლესიო საქმეთა საზღვარს და საერო ცხოვრებაზე მას თითქმის არავითარი გავლენა არა ჰქონია“.

ქართველის მხიარული, ღია ხასიათია ამ მოვლენის მიზეზი, თუ მის ინსტინქტიური პანთეისტური მსოფლმხედველობა, ავტორს ვერ გადაუწყვეტია.

„მსოფლიოს საიდუმლოება“ მაინცა და მაინც არ აინტერესებდა ქართველს, იგი უფრო გარეგან მოვლენათ აქცევდა ყურადღებას; განყენებული მოაზრე ქართველი არასოდეს არ ყოფილა. „ქართველი ერი ფილოსოფოსებს ვერასოდეს ვერ შექმნის, სამაგიეროდ ხელოვნება უნდა შექმნას, რადგან ქართველის სახელოვნო ნიჭი არა ჩვეულებრივ გვარისაა და საჭიროებს მხოლოდ განვითარებას“.

წიგნის მეორე თავში ავტორი ეხება ქართველ ხალხის ზნე-ჩვეულებას: აგვიწერს სახლის მოწყობილობას, სასმელ-საჭმელს, ქორწილს, ტირილს, სოფლურ მუშაობას, მოსახლეობას და სხვას. აქ ჩვენის მკითხველისათვის საინტერესო არა არის-რა.

ერთის გარემოებისათვის მიუქცევია ყურადღება ავტორს; ვარდ-ყვავილების ბაღი, ხელოვნურად გამართული, არ სცოდნიათ ქართველებს და ეხლაც იშვიათი მოვლენა არისო.

ჩვენი ლეკური? „სურათი, რომელსაც ლეკური წარმოგვიდგენს, წარმტაცია, და თუ ეროვნულ ცეკვაში იხატება ხალხის ტემპერამენტი და მშვენიერების გრძნობა, აქ სწორედ ასეთი შემთხვევა არის“.

გნებს. უნდა გენახათ ეს მწიგნობარი, ან იმისი ამხანაგები კვირა დილით (ნახვა კი მხოლოდ კვირა დილით შეიძლებოდა, რადგან საქმე-დღეს გათენებამდის მიდიოდნენ სახელოსნოში), ნამდვილ შავი-ქვის მაღაროებში მომუშავეებსა ჰგავნდნენ, ისე იყვნენ ამოთხუპნული ქრაქის მჟავარტლში.

ამ გვარს საცხოვრებლებს ეხლაც ბევრს შეხვდებით ქუთაისში. ქარგლები და შეგირდები ცხოვრობენ ბნელს, ნოტიო სარდაფებში, რომელიც ყინულის შესანახადაა გაკეთებული და არა ადამიანთა საცხოვრებლად. ზოგიერთ ნოქრებსა და ქარგალ-შეგირდს თვით სავაჭროებსა და სახელოსნოებში აწვენენ უფროსნი—რასაკვირველია, ისეთში, სადაც სასმელ-საჭმელი არაფერია,—და გარედანაც კლიტეს ადებენ, რომ არაფერი გაიტანონ და არ გაჰყიდონ. თუ სავაჭროებში რამე საჭმელ-სასმელია, მაშინ დაკეტილსაც ვერ ანდობენ და პირდაპირ ცის ქვეშ აწვენენ სავაჭროების წინ. თუ ვისმე გადაჭარბებულად ეჩვენება ჩემი ნალაპარაკევი და მოისურვებს დარწმუნებას, ვსთხოვ გაისარჯოს და ნაშუაღამევის 1—2 საათზე ჩამოიაროს მემწვანილეებში, მეთევზეებში, ხარაზებისა და მედვინეთა უბანში: თითქმის ყოველ დუქნის წინ დაინახავს ჭუჭყიანი პერანგის ამარა 12—14 წლის ბიჭებს, რომელთაც ქვის იატაკზე რაღაც ძონძები დაუგიათ, თავ-ქვეშ ქვა ამოუდვიათ, და დაღლილ-დაქანცულებს მკვდარივით სძინავთ მეორე დილამდის, სანამ უფროსი არ მოვა დუქნის კარების გასაღებად და ფეხის კვრითა და ლანძღვა-გინებით არ წამოაგდებს ბავშვს—ამდენის ძილით მოკვდებიო. ამ ბავშვებს მეტის შრომისა და უძილობისაგან ადამიანის ფერი არ აძევთ, ძვალ-ტყავად არიან ქცეულნი.

მერე ვინ არის იმათი პატრონი, რომ ხმა ამოიღოს მათდა სასარგებლოდ? არავინ, თუმცა საბჭოს ყოველი ხმოსანი, ყოველი მოქალაქე ვალდებულია—ზნეობრივ მაინც—ამ უმწეო არსებათ გამოესარჩლოს და ეცადოს მათის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ზოგიერთი ქუთათური ხმოსნები „სულ ბედში მყოფთ „უფრო ესარჩლებიან და ექომაგებიან, ვიდრე „ბედისაგან დაჩაგრულთ", რადგან პატივისცემას მოელიან; ბედისაგან დაჩაგრულ ქარგალ-შეგირდებმა-კი რა სამაგიერო პატივი უნდა სცენ!

საჭიროა, რომ ქალაქის საბჭომ აღძრას ლაპარაკი ნოქარ-ქარგლების და შაგირდების საცხოვრებელ ბინების გაუმჯობესებისა და სამუშაო დროს დაწესების შესახებ. საჭიროა აგრეთვე, რომ ქუთაისში არსებულმა უპატრონო ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოებამაც მიაქციოს ყურადღება ამ საქმეს, ნამეტნავად მცირე-წლოვან შეგირდების მდგომარეობას, რომელთაც დღე-ღამეში 16—18 საათამდის ამუშავებენ.

დონ-გუდიანი.

რუსეთის ქრონიკა

◆ ის წესები, რომელიც დაშავებულ მუშათა დაზღვევას შეეხება, ყველა საკანონმდებლო დაწესებულებამ განიხილა, ასე რომ მალე ძალაში შევა. ამ წესების ძალით, სავაჭრო ან სამრეწველო დაწესებულების პატრონმა უნდა მისცეს ფული იმ მუშას, რომელიც მუშაობის დროს დაშავდება. რაოდენობა ჯილდოსი უდრის სამ მეოთხედს იმ ფულისას, რომელიც მუშას წელიწადში ეძლევა.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს შეიმუშაოს ახალი წესები ტყეების მოვლა-მოშენებისა. ეხლანდელი წესები სამინისტროს ძალიან სამძიმოდ მიაჩნია ტყის პატრონთათვის.

◆ რუსეთის ბევრ ადგილშიაც ისეთივე განუწყვეტელი წვიმებია, როგორც ჩვენში. მოსავალს ძალიან ხელს უშლის თურმე წვიმები. როგორც „ნოვ. ვრ."-ს ატყობინებენ, სოფლებში ბევრგან მღვდლებს პარაკლისებს ახდევინებენ, რომ წვიმა აღარ მოვიდეს.

პრესსა

„ნოვოე ვრემია"-ში დაბეჭდილია წერილი პეტერბურგის მიტროპოლიტის ანტონისა ამ სათაურით „საჭირო განმარტება". წერილი ეხება საროველ მეუდაბნოეს სერაფიმეს, რომელსაც ამ ზაფხულს უწმ. სინოდი წმიდანად გამოაცხადებს. პეტერბურგში ვიღაცებს წიგნაკები გამოუკრავთ მართლ-მადიდებლობისა და სერაფიმე საროველის წინააღმდეგ. აი, რასა სწერს მიტროპოლიტი:

> სამი კვირა იქნება, რაც პეტერბურგში გეკტოგრაფიული ფურცლები ვრცელდება ვიღაც „მართლ-მადიდებლობასთან მებრძოლ კავშირისა". ამ კავშირის მიერ მართლ-მადიდებლობა რუსეთის ხალხისთვის მავნედ არის გამოცხადებული. ამასთან გამოცხადებულია, რომ კავშირმა „იკისრა, მოვალეობის შესასრულებლად ჭეშმარიტებისა და რუსის ხალხის წინაშე გამოიკვლიოს საქმე სერაფიმე საროველის ნაწილების შესახებ. ამისთვის, თუ საჭირო იქნება, იმასაც გავიგებთ, რა არის კუბოშიო".
>
> არ ვიცი, არსებობს თუ არა ნამდვილად ასეთი კავშირი მართლ-მადიდებლობასთან საბრძოლველად, ან იქნება ეს ფურცლები ვინმე მოცლილ კაცის ნამოქმედარია. ყოველ შემთხვევაში მრავლად გავრცელებულმა ფურცლებმა ლაპარაკი დააწყებინა პეტერბურგის საზოგადოებას და შეიძლება არც პროვინციის საზოგადოებამ დასტოვა უყურადღებოდ, თუ იქაც შეიტანეს ეს ფურცლები. ფურცლებში რომ კავშირის დაარსების ამბავი იყოს, ხმის ამოღებად არც-კი ღირდა. მაგრამ ამ ფურცლებში უკადრისად იხსენიებენ მეუდაბნოეს სერაფიმეს, ამასთან ეჭვის თვალით უყურებენ იმას, რაც კუბოშია. არა ვკიცხავ ამისთვის ამ ვაჟბატონებს, როგორც მაცხოვარმა არ გაჰკიცხა თომა ურწმუნო. უამ ფურცლებთაც ათას რამეს ლაპარაკობენ თვით ინტელიგენტნი და მორწმუნენი წმ. სერაფიმეს ნაწილების შესახებ. ბევრი მართლაც ეჭვშია, ბევრს უნდა გაიგოს; „რა არის მართლა კუბოში"? კუბოში ბერის ფერფლად ქცეულ ტანისამოსს ქვეშ ინახება განსვენებულ მოხუცის ჩონჩხი. სხეული უკვე გაიხრწნა. ძვლები-კი, თმა თავისა და წვერი სავსებით შენახულა.

შემდეგ მიტროპოლიტი ანტონი განმარტავს, რომ ყველა წმინდანის სხეული არ არის ხოლმე უხრწნელი. წმიდანობას ამტკიცებს ათასი სასწაული, რომელიც წმიდანს სიცოცხლის დროს მოუხდენია ან იმის სიკვდილის შემდეგ მომხდარა დარჩენილ ტანისამოსისა და სხვა რამის წყალობით. წმიდანისა ყველაფერი წმიდა და სასწაულთ-მომქმედია, ჩრდილი და ტანისამოსიც-კი და არა მარტო სხეული და ძვლებიო.

ტფილისის ქალაქის საბჭო

25 ივნისის სხდომა

„დაიღალნენ" ჩვენი „მამები": ღამის ცხრა საათი იყო, ძლივს 28 ხმოსანი შეიკრიბა და კრება დაიწყო. თავდაპირველად სხვა-და-სხვა სათხოვრების გარჩევას შეუდგნენ. წყლის მილზე მოსამსახურე ცისიტოვი გარდაცვლილა და ქვრივი წვრილ შვილებით დარჩენია. გამგეობისა და საფინანსო კომისიის დადგენილებით საბჭომ ცისიტოვის ქვრივ-ობლებს 15 თუმანი მისცა საჩუქრად.

გამგეობის წევრად ყოფილის ე. ხოსროევის ქვრივ-ობლებს საბჭომ 220 თუმანი პენსია დაუნიშნა ყოველ-წლიურად. გამგეობას ეს ხუთ-ექვსი თვეა პენსია შეუმცირებია, რადგან ორი შვილი საპენსიო წლოვანობიდან გამოვიდნენ. ქვრივი ხოსროევისა მიმართა სთხოვდა საბჭოს: პენსია შემინახეთ, რომ შვილები გამოვზარდოო. როგორც მოხსენებიდან აღმოჩნდა, დღეს ორი შვილი ხოსროევისა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, დანარჩენებიც აქაურ საშუალო სასწავლებლებშია. საბჭომ შეიწყნარა ქვრივის სთხოვარი და დაადგინა: ქვრივ-ობლებს ხოსროევისას სრულად ეძლეოს 220 თუმანი მანამდე, სანამ გამგეობის წევრად ყოფილის განსვენებულის ხოსროევის შვილები უმაღლესს სწავლას არ დაამთავრებენ. ამას გარდა ეხლავე მიეცეს ქვრივს ის ფული, რომელიც გამგეობამ დაუჭირა.

ქალაქის სამკურნალოს ზედამხედველი პროვიზორი მახეიდ არაზოვი სთხოვდა საბჭოს ორის თვით დათხოვნას, ჯამაგირის შენახვასა და დახმარების აღმოჩენას. გამგეობამ და საფინანსო კომისიამ შესაძლებლად დაინახეს ოცის თუმნით დახმარება აღმოეჩინოს მთხოვნელს. საბჭომაც დაამტკიცა ეს მოხსენება.

ოცის თუმნით დახმარება აღმოუჩინეს ქალაქის ავქციონისტის ტერ-ასტურიანის ქვრივ-ობლებს, რადგან ეს ტერ-ასტურიანი 13 წლის ნამსახური იყო, და ქალაქის წყლის მილების სახელოსნოს ოსტატს ხვიჩუს 11 წლის სამსახურისა და ეხლა ავადმყოფობის გამო; ამისავე თხოვნით სამსახურიდანაც დაითხოვეს.

ამის შემდეგ იმ კომისიის მოხსენების გარჩევას შეუდგნენ, რომელსაც საბჭომ დაავალა ისეთი საშუალება იხმაროს, ავჭალიდან მილებით წამოყვანილის წყლის დინება გაუმჯობესდეს და უფრო მეტი წყალიც მიეცეს მცხოვრებლებსა; ამავე კომისიას უნდა ეზრუნა ახალ მილების გამართვისათვის სხვა ადგილში. ასეთი კომისია აირჩია საბჭომ წელს 24 მარტს. მას აქეთ კომისია მუშაობდა და ამ თვის 3 რიცხვს შემდეგი დაადგინა: 1) ავჭალაში უნდა გაკეთდეს წყლის საწმენდი ისე, რომ დღეში 500 ათასი ვედრა წყალი დასწმინდოს; აგრეთვე გაკეთდეს აუზი 50 ათას ვედრისა; 2) ავჭალიდან ქალაქამდე მეორე მილი ჩაიწყოს 16 დიუმის სიგანისა; 3) ქალაქში კიდევ ორი აუზი გაკეთდეს—ერთი მთაწმინდის უბანში, მეორე ხარფუხში და ამის მიხედვით შიგ ქალაქშიც მილები ჩაიდგას; 4) ყველა ამისათვის საჭიროა 265 ათასი მანეთი, აქედან ავჭალაში წყლის დასაწმენდის და აუზისათვის 50 ათასი მანეთი, მეორე რიგობის მილებისათვის 165 ათასი მანეთი და ქალაქში ორი აუზისათვის 50 ათასი მანეთი; 5) ეხლავე მიეცეს საბჭომ 10 ათასი მანეთის დახარჯვის ნება, რომ გამოიკვლიოთ თითქმის 125 ვერსტის მანძილზე, საიდან შეიძლება (ახალ ადგილებში) კარგის დინების და სასმელი წყლის წამოყვანა ქალაქისათვისა.

დიდის ხნის კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო ეს დადგენილება კომისიისა, რომელიც ამ ზაფხულსვე აპირებს საქმის თადარიგის შედგომას და საჭირო მუშაობის დაწყებას ისე, რომ გაზაფხულისათვის ავჭალიდან ქალაქამდე მეორე რიგობის მილი უკვე მზად იქმნეს და მუშაობდეს კიდეც.

შემდეგი სხდომა ორშაბათისათვის დაინიშნა.

წერილი კახეთიდან

უამინდობა და ნიაღვრები

არ ვიცი, ზამთარი რომ ხანგრძლივი იყო და მთებში დიდი თოვლი ლიოდა თუ გვიანი გაზაფხულის ბრალია, მხოლოდ მე კი ასეს ვიტყვი: ამ ბოლო წლებში ასეთი ავდრიანი გაზაფხულ-ზაფხული არა ყოფილა, როგორიც წლეულს. გაზაფხული გავიდა, ზაფხულის პირველი თვეც იწურება და ჯერ ორი კვირა ზედი-ზედ კარგი ამინდი არ დაუჭერია. სულ ავდარი, წვიმა, სეტყვა, ქარიშხალი და წყალ-დიდობაა. სხვა არა იყოს-რა, ავდარი ჭირნახულს მეტად ხელს უშლის. ყანები გაიჭრა. გაღმა მხარეს უკვე შეუდგნენ სამკალად. ავდრები თუ გაგრძელდა, შემოსულ ყანებს ძლიერ ავნებს. გამოდარებაზე სამყოფი მუშა ხელი ვერსად კი მოიშოვება, რადგან ყველა თავის საქმეს ეშურება. ავდარი საქმეს შეაყენებს და მუშაობაში მუშა ხელს გააძვირებს. ვენახებისთვისაც სულ მეტია ავდარი. ხეირიანად ვერსად სწამლობენ. მემამულენი სჩივიან, ტყუილად გვეხარჯება წამალი, წვიმა ისევ ჩარეცხსო. ასეთი ამინდები ხომ ნაცრის დედაა, თუმცა ჩვენი მეურნე დროით შეემზადა იმასთან საბრძოლველად. ეხლა ძნელად მოიშოვება ისეთი ვენახი, რომელსაც გოგირდი ორჯელ მაინც არა ჰქონდეს შეყრილი, მაგრამ ამისდა მიუხედავად სოფლებიდან ამბავი მოდის, რომ ყურძენს მარცვალს ნაცარი უჩნდებაო.

მართალია, გაზაფხულიდან დაწყებული ავდრები ხშირია, მაგრამ როგორც ამ ბოლო დროს, ისე არა ყოფილა. 21 და 22 ივნისს მგონი დიდ-ხანს არ დაივიწყებს კახეთი. 21-ში დილიდან შეიკრა ცა და მთელი კახეთი შავმა ღრუბლებმა მოიცვა, დაიწყო დიდი წვიმა, მერე მოუხშირა და საღამომდე იწვიმა. მერე თუმცა გადაიღო, მაგრამ იმავე ღამეს და მეორე დღეს ისევე განმეორდა. შესანიშნავია ისიც, რომ წვიმის დროს ისე ჭექა-ქუხილი არ იყო, როგორც სხვა დროს არის ხოლმე და არც ქარი ქროდა, თორემ იქნება ქარს ღრუბლები გადაეყარა და წვიმა გადაეღო. აი, სწორედ ამ ორ დღეს მოსულმა ნიაღვარმა დიდად აზარალა კახეთი: საცა კი პატარა ხევი მოიპოვებოდა, ისე ადიდდა,

---

არ ვიცით, მადლიერი თუ უმადური დარჩებიან ჩვენი ქალები არტურ ლეისტს. მთელ ათ გვერდზე ლაპარაკობს ავტორი ქართველ ქალებზე და ლამაზი, კოხტა სიტყვები მოუნახავს ჩვენ ბანოვანთა მშვენიერებისა და სიკეკლუცის აღსაწერად, მაგრამ... მაგრამ ამ სიმართლესთან (წიგნში ჩართული პორტრეტები კი ვერ ამტკიცებენ ამას!) სხვა სიმართლესაც ამბობს; მართლის მთქმელს კი ცხენი ყოველთვის მზად უნდა ჰყავდეს, მაგრამ იქნება პირველმა სიმართლემ ისეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინოს, რომ მეორეს ყურადღებაც არ მიაქციონ!

ჩვენ მხოლოდ მეორე სიმართლეს შევეხებით.

„საშუალო ქართველი ქალი ვერ არის კარგი მშრომელი, სამაგიეროდ საზოგადოებაში კარგი მოსაუბრეა; ამიტომაც მისი წილი საწარმოო ცხოვრებაში ბევრად ნაკლებია, სხვა ხალხების ქალების წილზე. როგორც დედა, იგი მეტად ნაზი და თავდადებულია. მაგრამ იშვიათად არის იმდენი სიმტკიცე გამოიჩინოს, რომ კარგი აღმზრდელი იყოს; ნამდვილი დიასახლისობაც ნაკლებად სჩვევია, რადგან მაცადინობას და შრომას ერიდება და ხანგრძლივი წესიერი საქმიანობა არ შეუძლია. ამ არა სასარგებლო თვისებას შეხვდებით არა მარტო შეძლებულ ოჯახებში, არამედ ღარიბ წრეებშიაც; ამიტომაც ქართულ ოჯახს ხშირად ბევრი რამ აკლია".

გარეგან, საჩვენებელ მხარეს დიდი ფასი აქვს ქართველ ქალთა უმრავლესობის თვალში და ამიტომ ჩაცმა-დახურვის დიდი მოტრფიალეა და ნიჭსაც იჩენს ამ საქმეში; თან უყვარს სიამოვნება, თავის მოწონება, მხიარული, მიმზიდველი და გულკეთილიც არის; ამიტომაც საზოგადოებაში სასიამოვნო სანახავია. მაგრამ იქ, სადაც მართლა მოსწრებული, მახვილი ლაპარაკია საჭირო და ნამდვილ ცოდნის გამოჩენა, ქართველი ქალი, რომელიც ბალებსა და მზგავს დროს ტარებაში სხვა ხალხების ქალებს სჯობს, აქ ძალიან იჩრდილება.

ხალხის გონებრივ ცხოვრებას ზარმაცად და თითქმის უმონაწილოდ შესცქერის. და ძალიან ცოტაა რიცხვი იმ ქართველ ქალებისა, რომელნიც ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობენ. სამი თუ ოთხი ლექსთა მთხზველი, ამდენივე ბელეტრისტი და რამდენიმე მთარგმნელი შეადგენდნენ მთელის მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველ მწერალ ქალთა პატარა წრეს.

მუსიკის სფეროშიაც ყოვლად უმნიშვნელონი არიან ქართველი ქალები, თუმცა, მაგალითად, პიანინოზე დაკვრის ნიჭი უნდა ჰქონდეთ.

საზოგადოდ ქართველ ქალს აკლია უნარი სერიოზულ საქმიანობისა, და მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს სჩანს ნიშანი გაუმჯობესებისა: კეთილ-შობილი და ნიჭიერი ქალები ჰპოულობენ დროს საზოგადო საქმისათვის და მონაწილეობას იღებენ ხალხის განათლების საქმეში. მაგრამ იმათი რიცხვი ერთობ ცოტაა ზერელე, აჩქარებულ და სიამოვნების მიმდევარ ქალებთან შედარებით, რასაც ცუდი გავლენა აქვს მათ ზნეობაზე.

წინანდელი ზნეობრივი სიწმინდე გლეხის ქოხში თუ დარჩა, ისიც აღმოსავლეთ საქართველოში; რაც შეეხება გურიას (სამეგრელოსაც) და იმერეთის ზოგიერთ კუთხეებს, ამ წრეშიაც იჩინა თავი გარყვნილებამ. რასაკვირველია, აქ მიზეზი სიღარიბეც არის და სიზარმაცეცო, ამბობს ავტორი. ცხოვრების ახალ პირობებისათვის მოუმზადებლობა რომ ეთქვა ავტორს, კიდევ ჰო, თორემ სიზარმაცე აქ რა შუაშია, ვერ გაგვიგია.

საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ ავტორს, რომ იგი ვერ უჩვენებს ნამდვილ მიზეზს დასავლეთ საქართველოს შვილის, ქალია იგი თუ ვაჟი, „მეტ თავისუფლების" გაჩენისას. „იმერთა" ამოძრავებას უფრო რეალური და ღრმა სარჩული აქვს, ვიდრე ეს ავტორს ჰგონია. და ეს სარჩული, მოკლედ რომ ვსთქვათ, ის არის, რომ იმერეთში და გურიაში დიდი სივიწროვეა მიწისა, ადგილი ერთობ ძვირია და გონებით უფრო განვითარებული მკვიდრი მიწის გარეთ ეძებს ცხოვრების სახსარს. ეს მოვლენა ჯერ მოკლე ხანისაა; ჯერ კიდევ არა გვყავს მეორე თაობა „გარეთ-გამოსულებისა" და რა გასაკვირველი უნდა იყოს, რომ ახალ და ჯერ უცნობ გზაზე იმერელს ხანდახან ფეხი აუცურდეს. საკვირველი წინააღმდეგი მოვლენა იქნებოდა.

მკითხველს არ ეგონოს, რომ არტურ ლეისტი მართლა სულ ცუდის აზრისა იყოს იმერლობაზე. პირიქით, ბევრ ღირსებას ჰპოებს მასში—მოძრაობის სიყვარულს, სიმკვირცხლეს, ცოდნისადმი მისწრაფებას, კულტურულ ზნე-ჩვეულებათა ჩქარ შეთვისებას. მაგრამ ამასთან იგი უჩვენებს ბევრ ნამდვილ ნაკლს და სწორედ აქ მოსდის ცოტა გადაჭარბება და ზერელობაც.

იმოდენა წყალი მოაწყდა, რომ მთელი არე-მარე თან წაიღო, გადავიდა ნაპირიდან, მოიტაცა ნაპირზე მდებარე მიწები და წალეკა ყანები. ზოგ ადგილას (ტირინახულებში) იმოდენა ქვები შეუტანია, რომ 4-5 კაცი ვერ გადააგორებს. ეს პატარა ხევები. ჭვამოდის მხრის სიმძლავრითა და წყალ-დიდობით შესანიშნავი თურდო და კისისხევი ისე ადიდდნენ, რომ არა თუ ქვეითად, ცხენით და ურმითაც შეუძლებელი იყო შიგ გასვლა. ვინც კი გაჰბედა შესვლა, უხიფათოდ არ გადარჩა. 22 ივნისს თელავში თურმე მოდიოდა საერობო დარაჯი, შემოსულა თურდოში, მაგრამ მალე მისი ცხენი ძირს დაუცია წყალს და თვით კი კარგა მანძილი წაუღია. ხალხი მიეშველა და გადაურჩენია. ხევები ისე დახრამულ-გაფუჭებულია, რომ ეტლების მიმოსვლა შესწყდა იმ ორ დღეს. 21 საღამოთი ტფილისიდან ფოსტამ ძლივს დაიგვიანა. მაშინვე ფოსტის კანტორის უფროსი გაემგზავრა, მაგრამ ფოსტა, როგორც იყო, ხალხს გადმოუტანია ხევს გამოღმა. ამ დღეს ომნიბუსები არ მოსულა. მეორე დღეს აქედან გავიდა ტფილისში მიმავალი ომნიბუსი; თურდომდე კი, როგორც იყო, მისულიყო, მაგრამ ხევი ისე ყოფილა გაფუჭებული და დახრამული, რომ ვერ გასულიყო და ისევ უკან მობრუნდა. კიდევ კარგი, გზის ყარაულები იყვნენ დაყენებული ხევებზე, თორემ უბედურება მოხდებოდა. არც კისისხევი იყო თურდოზე ნაკლები. აქაც ეტლების მოძრაობა ამ დღეს შესწყდა. სიღნაღიდან მომავალი ფოსტა ურმით ძლივს გამოიტანეს, ხოლო ეტლით ერთმა ებრაელმა სცადა გამოსვლა. შევიდა თუ არა წყალში, გადაბრუნდა და მთელი იმისი ავლა-დიდება (საქონელი მოჰქონდა) სულ წაიღო წყალმა. თვით ებრაელი ძლივს გადაარჩინეს.

გზები ხომ აღარ ინახვის, ისეა დახრამულ-გაფუჭებული. მიმოსვლა გაძნელებულია. რადა ეს უნდოდა ხალხს. ამ საქმიანობაში უნდა გამოეყვანათ ბეგარაზე და გზები შეეკეთებინათ. ამას დროც და წვალებაც ბევრი მოუნდება, რადგან ზოგ ადგილას, ნამეტნავად ხევებზე, ისე დააქცია გზები, რომ კლდეებს დაამსგავსა.

ამ წვიმებმა და წყალ-დიდობამ ალაზანსაც აგრძნობინა. წყალს ისე მოუმატნია, რომ მოხუცებულები ამბობენ, ასე ადიდებული ჯერ არ გვინახავსო. ხიდმაც კი ვეღარ გაუძლო აზვირთებულ წყალს. იმისი განაპირა ნაწილი წაიღო. მიმოსვლა მოისპო. მხოლოდ ვინც ჰბედავს, გადებულ ფიცარზე გადადის, როგორც ბეწვის ხიდზე. თელავის მაზრაში ალაზანზე ერთი ხიდია. თუ ამ ხიდზე გავა კაცი, თუ არა და ქვეითად უნდა გავიდეს. ბორანი არსად არის ქვემო მხრის (ქიზიყის) სოფ. მუკუზნის გარდა, ასე რომ საპალნის გადატან-გადმოტანა ჯერ-ჯერობით შეწყვეტილია, ვიდრე ხიდს შეაკეთებენ.

თუმცა ბევრი სოფელი აზარალა, ზოგს ყანა წაართვა და ულუკმა-პუროდ გაუშვა, ზოგს ვენახი, ზოგს ბოსელსა და სახლებში შეუვარდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც სოფ. კონდოლი დაზარალდა. კისისხევი გადმოვარდა და ზედ კონდოლზე მიუმარჯვა. შეშინებულ მცხოვრებთ ეგონათ, ეს არის დავიღუპენითო, სულ წაგვართმევს ჩვენ საცხოვრებელ-საბადებელსო, მაგრამ განგებამ შეიბრალა. ხევს არაფერი დაუნგრევია, თუმცა ბოსლები, სარდაფები და სახლები წყლით გაავსო. მცხოვრებთ მთელი ღამე სახლის სხვენებში გაუთევიათ და შეშინებულნი მეორე დღესაც ვერა ჰბედავდნენ თურმე ჩამოსვლას.

ნომერი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ივნისი.

პეტერბურგი. ხელმწიფე-დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული გატჩინოდან პეტერგოფში გადასახლდა.

ვინდავა. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე მოვიდა და აქ რომ ფაბრიკას, ელევატორს, საზღვაო სასწავლებელს აშენებენ გასინჯა; ქალაქიც დაათვალიერა.

ლონდონი. „ტელეგრაფი" სწერს: „საფრანგეთისა და რუსეთის კავშირი ამ ორის სახელმწიფოს დიპლომატიურ ერთობას მოასწავებს. ედუარდ მეფის დახვედრა პარიზში და ლუბეს მიღება ლონდონში კი ორის ხალხის ერთობას მოასწავებს".

სოფია. ბოლგარიის მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა, მშვიდობიანად იმოქმედოს, მაგრამ ეშინიან, ვაი თუ შემთხვევით მოხდეს რამეო.

ბელგოროდი. საბჭომ დაადგინა, ბელგოროდის სახალხო პროგიმნაზიის ახალ შენობის აგებას შეუდგეს. შენობა 86 ათასი მანეთი დაჯდება.

ბელგრადი. სერბიის ელჩის ნოვაკოვიჩის წინადადებით, ნაპრედნიაკების კრებამ დაადგინა, ჩვენ პარტიას ნუღარ აღვადგენთო.

სტამბოლი. ბოლგარიის მთავრობამ რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის მთავრობებს კირკლისეს მაზრიდან ბოლგარიაში გადმოსახლებულთა სიები ჩააბარა. სიებში ჩამოთვლილია ყველა გადმოსახლებულთა გვარები.

ბელგრადი. რუსეთის ელჩმა დღეს აუდიენციის დროს თავისი ახალი რწმუნების გრამოტა ჩააბარა მეფეს. მეფემ და ჩარიკოვმა ერთმანეთს გულითადი სალამი უძღვნეს.

ათინა. თეოტოკისმა მეფეს ჩააბარა სამინისტროს თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

რომი. გაზეთი „იტალია" იუწყება: პაპი სურვილს აცხადებს, ჩემ მოადგილედ კარდინალი გოტი აირჩიონო.

ვენა. კრიზისი საბოლოოდ გადასწყდა.

პეკინი. იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად მოითხოვა, რომ ვერცხლით გადახდილ სამხედრო საზღაურის ნაწილი, ოქროს ვალიუტის დაგვარად იანგარიშონო.

ათინა. დეპუტატთა პალატის დღევანდელი სხდომა მეტად მშფოთვარე იყო; პირგოსის დეპუტატმა პალატას დეპეშით შეატყობინა, რომ იქ მეტად სერიოზული მდგომარეობაა. გლეხკაცები ქალაქში იკრიბებიან, რომ მონაწილეობა მიიღონ კრებაში და მოითხოვონ, რომ ჩირის ყურძნით ვაჭრობის მონოპოლია არ მოისპოსო; შეიარაღებულმა გლეხებმა რამდენიმე რკინის გზის მატარებელი დააყენეს და ათინაში წასვლა მოინდომეს, რომ იქ დემონსტრაცია მოეხდინათ; მაგრამ როცა წასვლა დაუშალეს, გლეხებმა რამდენიმე ადგილას რკინის გზა დაანგრიეს.

ლონდონი. საფრანგეთის სელჩოში საპარადო სადილი გამართეს; სტუმართა შორის მეფე ედუარდი, უელსის პრინცი, მინისტრები და ელჩები იყვნენ. სიტყვა არავის წარმოუთქვამს. სადილის შემდეგ საკონცერტო წარმოდგენა გამართეს.

რომი. დილის ბიულეტენი: „ღამემ მშვიდობიანად გაიარა, მაგრამ პაპის გამამხნევებელი ძილი არა ჰქონია. გუშინდელდღევით თავისუფლად უდგას სუნთქვა, ფილტვების ავადმყოფობა იქნება მალე დასრულდეს. უფრო ცხადად ეტყობა, რომ პაპის საქმე უჭირს".

განმარტება. გუშინდელი საღამოს დეპეშა ბელგრადიდან ასე უნდა იკითხებოდეს: „საერო კრება შეიკრიბება 1-დან 14 ოქტომბრამდე. არჩევანი 8-დან 29 სექტემბრამდე მოხდება".

26 ივნისი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ."-ში დაბეჭდილია უმაღლესი განკარგულება, რომელიც შეეხება სააქციონერო დამზღვევ საზოგადოებების ქონების მოთავსების და შენახვის წესების გამოცემას და შევსებას.—დანიშნულია: გენერალ-მაიორი ღრიაგინი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორად; გენერალ-მაიორი სტაგინი—ქუთაისის გუბერნატორად.

რომი. პაპს დღის განმავლობაში ძალიან სისუსტე არ უგრძვნია. მაჯა უფრო თანასწორად უცემს. საზოგადო მდგომარეობა უკეთესია.

მოსკოვი. მოსკოვის ერობის შუამდგომლობა „ზემსკი ვესტნიკი"-ს გამოცემის შესახებ—უარყოფილია.

— მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკინის გზის აქციონერების კრებამ დაადგინა, დაიწყოს ახალ შტოს გაყვანა ნავლიასა და ტერეშჩენსკაიას შუა.

ბრიუსელი. შაქრის კომისია შეიკრიბა და უნდა განიხილოს გერმანიის წინადადება იმის შესახებ, რომ რუსეთისთვის დაკლებულ იქმნას დამატებითი გადასახადი და ამით მომზადდეს რუსეთის კონვენციასთან შეერთება. წარმომადგენლებმა ერთხმად თანხმობა განაცხადეს გადასახადის დაკლებაზედ. ამ დაკლების რაოდენობაზედ ხვალ მოილაპარაკებენ.

ბელგრადი. ვუიჩისა და პაშიჩის სამსახურიდან გადადგომა ნებადართულია.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სარმოვის ქარხნებში ცეცხლი გაჩნდა, დაიწვა ვაგონების დეპო, სახელოსნოები და 40 ვაგონი. ზარალი 400,000 მანეთია. რაც დაიწვა—სულ დაზღვეულია.

ათინა. დეპუტატთა პალატა. თეოტოკისი აუწყებს პალატას, რომ კაბინეტმა სამსახურიდან გადადგომის სურვილი განაცხადა, გადადგომა ნებადართულიაო, და აღნიშნავს, ოპოზიციის მოქმედებამ გამოიწვია ესდენდელი ამბოხი. პრეზიდენტი სხდომას ხურავს. დიდი უწესობა იწყება. ოპოზიცია პროტესტს აცხადებს და ხმაურობს. რამდენიმე დეპუტატმა მუშტის კრივიც დაიწყო.

ბრიუსელი. რუსეთის, ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის და ჰოლანდიის შაქრის მრეწველობის წარმომადგენლებმა მოიწონეს ის რეზოლიუცია, რომლის ძალითაც უნდა შემცირდეს შაქრის გატანა ამ სახელმწიფოებიდან და ყოველ სახელმწიფოსათვის, რომელიც კონვენციას ხელს მოაწერს, უნდა დაწესდეს, რამდენ შაქრის გატანის ნება ექნება. ამ დადგენილებით სახელმწიფოებს უნდათ წინააღმდეგობა გაუწიონ მეტად ბევრ შაქრის შეტანას ინგლისის ბაზარში; ფაბრიკანტებსაც იმედი ექნებათ, რომ ევროპაში შაქარს ნამდვილი ფასი დაედება და ინგლისის ბაზარში კი შაქრის ფასი აიწევს.

სოფია. თითქმის ყველა გაზეთები ომის წინააღმდეგნი არიან და იმ აზრს ადგანან, რომ ომი არაფერს მოგვიტანს და ეკონომიურად დაგვცემსო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 24 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,85	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,50	
ბერლინზე "	46,30	
პარიზზე "	37,60	
ბირჟის დისკონტი	5—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	98½	მყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾	"
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ.-მამ. ბანკისა.	95⅛	"
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	487½	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	338	"
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სათავ.-მამ. ბანკისა	289	
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა		
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	92¼	"
4½% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	184½	"

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.); 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ახალი წიგნის მაღაზია
გ. გალუსტოვისა
ქ. ქუთაისში.

ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ დიდი ხანი არ არის, რაც გავხსენი ახალი წიგნის მაღაზია ჩვენსავე წიგნების სამკინძველო ქარხანაში, ქარვასლის ქუჩაზე და გვაქვს სხვა-და-სხვა სახელმძღვანელო წიგნები როგორც რუსული, ისე ქართული, გერმანული, ფრანგული და სხვა.

(2—116—1). გ. გალუსტოვი.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

იწვევს იმათ, ვინც იკისრებს რიყის ქვის, დამტვრეულ ქვისა, ხრეშისა და ქვიშის მოტანასა და შეგროვებას **ქალაქის ქუჩების მოსაკირწლავად.** ამათ 10 ივლისამდე, შუადღის 12 საათამდე, უნდა წარადგინონ დაბეჭდილი კონვერტებით თავიანთი განცხადებანი იმ პირობათა შესახებ, რა პირობებითაც იკისრებენ დასახელებულ მასალის შეგროვებას დიდუბესა, ავლაბარსა, ნავთლუხსა, ვერასა და სეიდაბადში.

ამ საქმეს მოიჯარადრე უნდა შეუდგეს ამა წლის აგვისტოს.

საზოგადო სატეხნიკო პირობებისა და სხვა ცნობების მიღება შეიძლება გამგეობის სააღმშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 1 საათამდე.

განცხადება მიიღება მხოლოდ წერილობით, დაბეჭდილ კონვერტებით ამ გვარის ზედ-წარწერით: „Къ конкуренцію на поставки матеріаловъ для новаго мощенія города Тифлиса".

განცხადებაში ყველა ჩამოთვლილი რაიონისათვის ცალკე უნდა იყოს აღნიშნული როგორც ფასი (კუბ. საჟენისა) დაკვეთილ საქმისა, ისე რაოდენობა და ვადა.

განცხადების წარდგენა შეიძლება როგორც მთელ სამუშაოზე, ისე ცალკე რაიონებზე. აგრეთვე შეიძლება განცხადების წარდგენა თვითეულ საქმეზე ცალკე, მაგალითად, ქვიშის შეგროვებაზე ცალკე, ხრეშისაზე—ცალკე, დამტვრეულ ქვისაზე ცალკე და სხვა, ანა და ერთსა და იმავე კაცს შეუძლიან იკისროს ყველა ეს საქმე. ამ შემთხვევაში ფასი, ვადა და სხვა პირობა ყველა ჩამოთვლილ მასალაზე ცალკე უნდა იყოს აღნიშნული.

მოიჯარადრენი, რომელთაც საქმე მიენდობათ, ვალდებულნი არიან 7 დღის განმავლობაში შეიტანონ ბე, ამიტომ განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს რაოდენობა იმ ბესი, რომელიც უნდა წარდგენილ იქმნას სამუშაოს კარგად შესრულების უზრუნველსაყოფელად. (ნ. 3—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **[illegible] ალექსანდრე ოდიშელიძის [illegible].** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—93)

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა
წიგნის მაღაზიებს
ახალი წიგნი
„ჩვენს დედებს"
პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა
ფასი ხუთი შაური.
ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ივ. ნათაძეს. (ვ. 0—14)

ცინკოგრაფია
წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 26 Іюня, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)